**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია**

**ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია**

# გობრონიძე ალექსანდრე ამბროსის ძე

გობრონიძე ალექსანდრე ამბროსის ძე (დ. 17. X. 1925, სოფ. ლიხაური, ახლანდ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტი), პედაგოგი, პედ. მეცნ. დოქტორი (1986), პროფესორი (1987).

1991–96 იყო აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი და თავ-რის მოადგილე. 1946 დაამთავრა თსუ-ის ისტ. ფაკ-ტი. მუშაობდა სხვადასხვა ხელმძღვანელ თანამდებობებზე, 1957–64 – ლიხაურის საშ. სკოლის დირექტორად, 1964-იდან – ბათუმის შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. პედ. ინ-ტის (ამჟამად უნ-ტი) დაწყ. განათლების პედ. ფაკ-ტის დეკანად. 1975-იდან იყო ამ ინ-ტის პედ. კათედრის გამგე.

იკვლევს პედ. თეორიისა და ისტ. პრობლემებს.

*თხზ.*: ცხოვრებასთან სკოლის კავშირის პრობლემა ი. გოგებაშვილის პედაგოგიკურ მემკვიდრეობაში, ბათ., 1965; ი. გოგებაშვილი და აჭარა, ბათ., 1970; ახალგაზრდობის ზნეობრივი აღზრდა ბათ., 1976; მომავალ მასწავლებელთა მომზადება, ბათ., 1984; პედაგოგიკა (დამხმარე სახელმძღვანელო), ბათ., 1996; აღზრდის ფილოსოფიური საფუძვლები. დამხმარე სახელმძღვანელო, ბათ., 1997.